საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 16 ნოემბერი 2016 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/02

სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2016 წ. 16 ნოემბრის № 04-01/14 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე უნივერსიტეტის შინაგანწესის მე-10 მუხლს დაემატოს 1ᵃ ქვეპუნქტი:

1ᵃ. განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევების (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა, შემოქმედებითი აქტივობები, უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და ა.შ.) მქონე პირი, რომელიც ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ზედიზედ მეორე ვადით, საშემსრულებლო მიმართულებით კი - ზედიზედ მესამე ვადით, იქნა არჩეული პროფესორის თანამდებობაზე, აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებით, ითვლება პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეულად. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით ატესტაციას.

აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებამდე აკადემიური საბჭო პროფესორის უვადოდ გადაყვანის გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის შუამდგომლობის საფუძველზე.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი